

ერითიანი საგანმანათლებლო ქსელი

საქართველოს ყველა საჯარო სკოლა ჩართულია ერთიან საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელში და უზრუნველყოფილია ინტერნეტით, რაც მასწავლებელსა და მოსწავლეს საშუალებას აძლევს წარმართონ სასწავლო პროცესი როგორც შიდა, ასევე გარე ციფრული რესურსების გამოყენებით, გაცვალონ და გააზიარონ ინფორმაცია.

საქართველოს საჯარო სკოლებისათვის გაუმჯობესდა ინტერნეტის სიჩქარე, მათ შორის საჯარო სკოლების 30%-თან კავშირი უზრუნველყოფილია მაღალ გამტარიანი ოპტიკური არხებით (50 Mb). ხოლო დანარჩენი სკოლების შემთხვევაში, კავშირი უზრუნველყოფილია რადიო ტექნოლოგიით (კავშირის სიჩქარე: 256 Kb/s, 512 Kb/s, 1Mb, გლობალური ინტერნეტი - 500 Mb, ლოკალური - 2 Gb).

საერთაშორისო სტანდრტების დაცვის მიზნით, განხორციელდა უსაფრთხოების შესაბამისი ნორმების დანერგვა. შედეგად არასანქცირებული წვდომისა და რესურსების არამიზნობრივი ხარჯვისაგან თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად (Check Point) დაცულია ერთიანი საგანმანათლებლო ქსელი.

ქსელის გამტარობის ოპტიმიზაციისა და წარმადობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა უსადენო (WiFi) კავშირის ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ინტეგრირება და არსებულ დომენურ სისტემასთან (Active directory) თავსებადი ავტორიზაციის სისტემის დანერგვა. აღნიშნული უზრუნველყოფს უსადენო ქსელის უსაფრთხო და ავტომატიზირებული გამოყენების შესაძლებლობას.

ცენტრალიზებული უსადენო (WiFi) ინტერნეტით მოცემული ეტაპისათვის უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდი.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა თბილისის სკოლებში უსადენო ინტერნეტისა და საკლასო ოთახების/კლას-კაბინეტების ლოკალური ქსელის მოწყობის კონცეფციის შემუშავებაზე. სკოლების უსადენო ინტერნეტით (WiFi) აღჭურვის უზრუნველსაყოფად, შემუშავდა პროგრამის პილოტირების პროექტი, რომელიც წარმატებით განხორციელდა სსიპ ქალაქ თბილისის #123 საჯარო სკოლასა და თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში.

მომხმარებელთა ფოსტის მოცულობის გაზრდისა და საფოსტო სერვისის გაუმჯობესების მიზნით განახორციელდა სკოლების ელექტრონული საფოსტო სისტემის გადატანა ღრუბლოვანი ტექნოლოგიაზე (Office 365), შედეგად შეიქმნა ერთიანი ცენტრალიზებული, კოლაბორაციული ელექტრონული საფოსტო სისტემა.

ასევე განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ელექტრონული საფოსტო ყუთების Exchange მივლ სერვერზე გადატანა.

- მართვის სისტემამ უზრუნველყო ზოგად განათლებაში ICT ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის კონცეფციის (ICT Policy) შემუშავება, რომლის მიზანია ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა განათლების სისტემის ტრანსფორმაციის გზით.
- განათლების სისტემაში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, მართვის სისტემამ წარმატებით უზრუნველყო სხვადასხვა პროექტის ფარგლებში შესასყიდი კომპიუტერული ტექნიკის სპეციფიკაციების განსაზღვრა და საჭიროების შესაბამისად პროცესში ჩართული სუბიექტების კონსულტირება (ბუკი, კომპიუტერი წარჩინებულ მოსწავლეთათვის და ა.შ.)
- განხორციელდა საჯარო სკოლების IT მხარდაჭერის პროგრამული უზრუნველყოფისა და მასთან დაკავშირებული პროცესების/სერვისების მართვის ელექტრონული სისტემის (Service-Desk) დანერგვა. 2016 წელს დაგეგმილია აღნიშნული სისტემის იმპლემენტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების/სსიპ შემთხვევაში.

მართვის ელექტრონული სისტემების შექმნა/დანერგვა/განვითარება

პირველკლასელთა რეგისტრაცია

მართვის სისტემამ უზრუნველყო პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემისა და რესურსების მოდიფიცირება. სისტემა ონლაინ რეჟიმში ითვალისწინებს, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და ბინადრობის მოწმობის არ მქონე პირების რეგისტრაციას.

ელექტრონული სისტემა საშუალებას იძლევა რეგისტრაციის პროცესი დაიწოს შინაარსობრივად განსხვავებულ ეტაპებად, დარეგისტრირებული მოსწავლეების შესახებ ინფორმაცია ავტომატურ რეჟიმში აისახოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) და დინამიურ რეჟიმში შეიცვალოს ინფორმაცია სკოლებში დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ. ასევე, განხორციელდეს პირველკლასელთა რეგისტრაციის თითოეულ ეტაპზე, დარეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარდგენის მონიტორინგი.

2015-2016 სასწავლო წლისათვის, პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის ორგანიზების მიზნით, Emis-ის მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

- საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლებიდან პირველკლასელთა ლიმიტების შესახებ ინფორმაციის ორგანიზება;
- პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემისა და რესურსების მოდიფიცირება;
- რეგისტრაციის სახელმძღვანელოს განახლება და სისტემის ტესტირება;
- პირველკლასელთა რეგისტრაციის თითოეულ ეტაპზე, დარეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარდგენის მონიტორინგი.

ცხრილი #1: დარეგისტრირებული პირველკლასელები (მიმდინარე მდგომარეობა)

#	რეგიონი	კერძო სკოლებში დარეგისტრირებული პირველკლასელები	საჯარო სკოლებში დარეგისტრირებული პირველკლასელები	სულ
1	აფხაზეთი		153	153
2	აჭარა	767	3970	4737
3	გურია	95	1099	1194
4	თბილისი	3338	13654	16992
5	იმერეთი	593	5634	6227
6	კახეთი	110	3492	3602
7	მცხეთა-მთიანეთი	21	921	942
8	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1	196	197
9	სამეგრელო-ზემო სვანეთი	309	3167	3476
10	სამცხე-ჯავახეთი	20	1919	1939
11	ქვემო ქართლი	258	5542	5800
12	შიდა ქართლი	207	2814	3021

eFlow - ელექტრონული დოკუმენტბრუნვა

განათლების სისტემაში, ავტომატიზირებული საქმისწარმოების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, მართვის სისტემამ განახორციელა დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში (eFlow) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ბერიტიშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ჩართვა.

დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში (eFlow), თითოეული სუბიექტის ჩართვის შემთხვევაში Emis-ის მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

- ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა;
- თანამშრომელთა რეგისტრაცია;
- ავტორიზებული თანამშრომლებისათვის, სისტემაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომის შესაბამისი უფლებების ორგანიზება;
- სისტემასთან წვდომის უზრუნველსაყოფად, Emis-ის მონაცემთა ცენტრსა და კონკრეტულ სუბიექტს შორის დაცული, VPN კავშირის ორგანიზება.

eSchool - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემა

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ განხორციელა მოსწავლეთა მართვის საინფორმაციო სისტემის (eStudents) ჩანაცვლება, ახალი, ფუნქციურად გაუმჯობესებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემით (eSchool).

პროექტის ფარგლებში, საწყის ეტაპზე საქართველოს მასშტაბით, საჯარო და კერძო სკოლებში დაინერგა ახალი სისტემის შემადგენელი ისეთი მოდულები, რომელიც ხელს უწყობს განათლების მართვის ორგანოების სხვადასხვა მენეჯერული ამოცანების გადაწყვეტასა და მართვის ისეთი დამატებითი ამოცანების გადაჭრას, როგორებიცაა:

- მოსწავლეთა კონტინგენტის ორგანიზაცია (კლასების სტრუქტურა და შემადგენლობა);
- სასწავლო პროცესის ორგანიზაცია (საგაკვეთილო ბადე);
- მასწავლებელთა დატვირთვის განაწილება და აღრიცხვა;
- მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და განვითარების მონიტორინგი;

წლის განმავლობაში ასევე, შემუშავდა და სისტემაში ინტეგრირებულ იქნა მოდულები, რომელთა საშუალებითაც წარმატებით განხორციელდა/ხორციელდება:

- პირველკლასელთა ლიმიტების შესახებ ინფორმაციის ორგანიზება;
- პირველკლასელთა რეგისტრაციის თითოეულ ეტაპზე, დარეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარდგენის მონიტორინგი;
- შესაბამისი ცვლილებები სისტემაში მოსწავლეთა შესახებ, რომელთაც ექსტერნატის ფორმით ჩააბარეს ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები და წარმატებით დაძლიეს დონე;
- სახელმძღვანელოების არჩევა;
- სახელმძღვანელოების აღრიცხვა/ვარგისიანობის შეფასება, ორგანიზება სკოლების საჭიროებისა და არსებული ნაშთების გათვალისწინებით;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის დანერგვის ფარგლებში, eSchool-ის ფუნქციონალისა და გამოყენების წესების სწავლების მიზნით მართვის სისტემამ უზრუნველყო შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება საჯარო და კერძო სკოლებისათვის (იხ. ცხრილი #2).

ცხრილი #2: eSchool - ტრენინგი სკოლის თანამშრომელთათვის

#	რეგიონი	სკოლების რაოდენობა	გადამზადებულთა რაოდენობა
1	აფხაზეთი	15	7
2	აჭარა	256	235
3	გურია	101	90
4	თბილისი	297	286
5	იმერეთი	401	387
6	კახეთი	193	185
7	მცხეთა-მთიანეთი	88	75
8	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	68	58
9	სამეგრელო-ზემო სვანეთი	264	232
10	სამცხე-ჯავახეთი	206	185
11	ქვემო ქართლი	269	240
12	შიდა ქართლი	172	164

მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემა

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის #68 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ფარგლებში, უზრუნველყო მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემის შემუშავება და მისი ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool).

შეფასების სისტემის მეშვეობით მოხდება მოქმედ მასწავლებელთა დარეგისტრირება სქემაში, განხორციელდება მათი საქმიანობის შედეგების ელექტრონული აღრიცხვა და შეფასება.

მასწავლებელი აღნიშნული ელექტრონული სისტემის მეშვეობით განახორციელებს საკუთარი პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას, კერძოდ:

- ელექტრონულად შეავსებს თვითშეფასების კითხვარს, რომელიც სჭირდება საკუთარი საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების ანალიზის უზრუნველსაყოფად;
- შეადგენს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას, რომელშიც აისახება მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი სავალდებულო აქტივობები და დამატებითი საქმიანობები;
- აწარმოებს პროფესიულ საქალაქდეს, სადაც შეფასების მიზნით განათავსებს განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელ დოკუმენტებს;
- რეალურ დროში მიაღწენებს თვალს საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესს და მიიღებს ინფორმაციას დაგროვებული კრედიტულების შესახებ;
- აკონტროლებს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად აუცილებელი კრედიტულების დაგროვების ვადებს;

მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო 2015-2016 სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სავარაუდო რაოდენობის შეფასება/პროგნოზირება სკოლების, სექტორებისა და კლასების მიხედვით.

შესაბამისად განხორციელდა საჭირო სახელმძღვანელოების რაოდენობის შეფასება სკოლებისათვის უკვე გადაცემული სახელმძღვანელოების ვარგისიანობისა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში არსებული ახალი სახელმძღვანელოების ნაშთების გათვალისწინებით.

განათლების ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემა

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ, UNDP-ის პროექტის ფარგლებში „განათლების ხარისხის და ელექტრონული მმართველობა“, უზრუნველყო განათლების ხარისხის მართვის საინფორმაციო სისტემის შემუშავება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში Emis-ის მიერ განხორციელდა სისტემის არქიტექტურის პროექტირება, პროექტის კონსულტანტის მიერ შემუშავებული ტექნიკური დავალებების შესაბამისად ძირითადი და ფუნქციონალური მოდულების შემუშავება. Emis ასევე განხორციელებს არსებული/მოქმედი ელექტრონული ბაზიდან მონაცემთა მიგრაციას ხარისხის მართვის ახალ საინფორმაციო სისტემაში.

გამოცდების/კონკურსების ორგანიზება - ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი

XII კლასის სასწავლო პროგრამის ექსტერნის ფორმით დაძღვევის მსურველ მოსწავლეთა ცენტრალიზებული გამოცდები

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძღვევის მსურველთათვის ცენტრალიზებული გამოცდების ორგანიზება.

პროგრამის ფარგლებში EMIS-მა განხორციელა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის შექმნა, სკოლების მიერ წინასწარ წარმოდგენილი ტესტური დავალებებიდან სამინისტროს მიერ შერჩევის საფუძველზე შედგენილი კომბინირებული ტესტების შესაბამისი ელექტრონული ტესტის შექმნა და რეგისტრირებულ აპლიკანტთათვის ცენტრალიზებული გამოცდების უზრუნველყოფა სპეციალურად შემუშავებული პროგრამის მეშვეობით (იხ. ცხრილი #3).

ცხრილი #3:

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრების რაოდენობა	ექსტერნების რაოდენობა
1	სამცხე-ჯავახეთი	10	71
2	კახეთი	15	135
3	სამეგრელო-ზემო სვანეთი	14	138
4	აჭარა	18	254
5	იმერეთი	16	145
6	ქვემო ქართლი	11	118
7	შიდა ქართლი	7	121
8	თბილისი	15	303
9	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5	25
10	მცხეთა-მთიანეთი	4	28
11	გურია	3	22

CAT - სკოლის საატესტატო გამოსაშვები გამოცდები

მართვის სისტემა ახორციელებს სკოლის საატესტატო გამოსაშვები გამოცდების ტექნიკურ მხარდაჭერას, რომელიც თითოეული საგამოცდო ცენტრის შემთხვევაში გულისხმობს:

- კომპიუტერული ტექნიკისა და ლოკალური ქსელის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფას;
- ვიდეო კამერების მონტაჟსა და გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფას;
- ქსელური ინფრასტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური აპარატურის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფას;
- შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციას;
- ინციდენტებზე ოპერატიულ რეაგირებასა და შემდგომ მონიტორინგს;
- ტექნიკური დახმარების ცენტრალიზებული ცხელი ხაზის (Help Desk) ორგანიზებას;

გამოსაშვები გამოცდებისათვის საგამოცდო ცენტრებად გამოიყენება საჯარო სკოლები (კომპიუტერული ლაბორატორიები), სადაც ზემოთაღწერილი ტექნიკური სამუშაოების განხორციელებას უზრუნველყოფენ Emis-ის კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტები (იხ. ცხრილი #4, #5).

ცხრილი #4: CAT - საგამოცდო ცენტრები (XI კლასი)

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრები (საბარო სკოლა)	საგამოცდო ცენტრები (კერძო სკოლა)	სულ
1	აჭარა	128	23	151
2	გურია	48	4	52
3	თბილისი	170	101	271
4	იმერეთი	226	23	249
5	კახეთი	130	4	134
6	მცხეთა-მთიანეთი	44	1	45
7	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	28	1	29
8	სამეგრელო-ზემო სვანეთი	179	14	193
9	სამცხე-ჯავახეთი	99	2	101
10	ქვემო ქართლი	136	11	147
11	შიდა ქართლი	118	8	126

ცხრილი #5: CAT - საგამოცდო ცენტრები (XII კლასი)

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრები (საბარო სკოლა)	საგამოცდო ცენტრები (კერძო სკოლა)	სულ
1	აჭარა	129	23	152
2	გურია	48	4	52
3	თბილისი	170	105	275
4	იმერეთი	229	23	252
5	კახეთი	132	4	136
6	მცხეთა-მთიანეთი	44	1	45
7	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	28	1	29
8	სამეგრელო-ზემო სვანეთი	179	15	194
9	სამცხე-ჯავახეთი	100	2	102
10	ქვემო ქართლი	137	12	149
11	შიდა ქართლი	118	8	126

მართვის სისტემა ასევე ახორციელებს VI-IX და VIII-X კლასების მოსწავლეთათვის ორგანიზებული გამოცდების ტექნიკურ მხარდაჭერას (იხ. ცხრილი #6, #7).

ცხრილი #6: CAT - საგამოცდო ცენტრები (VI-IX კლასი)

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრები (საბარო სკოლა)	საგამოცდო ცენტრები (კერძო სკოლა)	სულ
1	იმერეთი	87	7	94
2	სამეგრელო-ზემო სვანეთი	88	1	89
3	კახეთი	50	47	97
4	აჭარა	65	7	72
5	თბილისი	34	2	36
6	ქვემო ქართლი	45	1	46
7	შიდა ქართლი	33	8	41
8	სამცხე-ჯავახეთი	21	1	22
9	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	18	7	25
10	გურია	16	1	17
11	მცხეთა-მთიანეთი	19		19

ცხრილი #7: CAT - საგამოცდო ცენტრები (VIII-X კლასი, მილენიუმის პროექტი)

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრები
1	შიდა ქართლი	36
2	სამცხე-ჯავახეთი	12
3	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	8
4	მცხეთა-მთიანეთი	4

ePIRLS - წიგნიერების საერთაშორისო კვლევა

მართვის სისტემამ განახორციელა PIRLS-ის, წიგნიერების საერთაშორისო კვლევის ტექნიკური მხარდაჭერა, რომელის მიზნია 9-10 წლის მოზარდებში წაკითხულის გააზრების უნარის შეფასება და წიგნიერების სწავლების ხელშესაწყობად შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება (იხ. ცხრილი #8).

ცხრილი #8: ePIRLS - საგამოცდო ცენტრები

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრები
1	შიდა ქართლი	3
2	თბილისი	11
3	სამეგრელო-ზემო სვანეთი	3
4	ქვემო ქართლი	1
5	იმერეთი	5
6	მცხეთა-მთიანეთი	1
7	კახეთი	2
8	აჭარა	1
9	გურია	2

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ტესტირება

მართვის სისტემამ წარმატებით უზრუნველყო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა პროფესიული ტესტირების ტექნიკური მხარდაჭერა. ტესტირების მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისობის დადგენა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აუცილებელ უნარებთან.

პროფესიული ტესტირებისთვის, წელიწადში ორჯერ – გაზაფხულზე და შემოდგომაზე, საგამოცდო ცენტრებად გამოიყენება საჯარო სკოლებისა და უნივერსიტეტების კომპიუტერული ლაბორატორიები, სადაც IT ინფრასტრუქტურის საგამოცდოდ მომზადებას Emis-ის კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტები ახორციელებენ (იხ. ცხრილი #9, #10).

ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველად საფეხურებზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით, მართვის სისტემა აღნიშნული ტესტირების ფარგლებში უზრუნველყოფს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის იმპორტს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

ცხრილი #9: საგაზაფხულო ტესტირება - საგამოცდო ცენტრები

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრები
1	თბილისი	1
2	აჭარა	4
3	გურია	2
4	სამეგრელო-ზემო სვანეთი	3
5	იმერეთი	5
6	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1
7	სამცხე-ჯავახეთი	2
8	შიდა ქართლი	1
9	კახეთი	5
10	ქვემო ქართლი	2

ცხრილი #10: საშემოდგომო ტესტირება - საგამოცდო ცენტრები

#	რეგიონი	საგამოცდო ცენტრები
1	თბილისი	3
2	აჭარა	7
3	გურია	1
4	სამეგრელო-ზემო სვანეთი	5
5	იმერეთი	8
6	სამცხე-ჯავახეთი	4
7	შიდა ქართლი	1
8	კახეთი	7
9	ქვემო ქართლი	1

მართვის სისტემამ ასევე წარმატებით უზრუნველყო:

- უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სტუდენტების მობილობა (პროცესის პროგრამული უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა);
- მოსწავლეთა სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის ტექნიკური მხარდაჭერა (საქართველოს მასშტაბით 1430 საგამოცდო ცენტრი);

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზების განვითარება

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო:

- სრული ან/და საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება, რომლის საფუძველზეც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ახორციელებს ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების გაცემას.
- მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება იმ პირთა შესახებ, რომელთაც ეკუთვნით სახელობო განათლების სერტიფიკატის ან საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატი;
ასევე, აღნიშნული დოკუმენტების ბეჭდვისა და გაცემის ორგანიზება;
- ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის წარმოების გაუმჯობესების მიზნით საჯარო სკოლის დირექტორის/მოვალეობის შემსრულებლების, სამეურვეო საბჭოს წევრების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და სსიპ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის რეგისტრაციისათვის შესაბამისი ელექტრონული აპლიკაციების შემუშავება;
- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის 229/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, უფლებამოსილების ლეგიტიმაციის მიზნით დირექტორებისა და სამეურვეო საბჭოების რეგისტრაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

განათლების მართვის პროცესების ინფორმაციული უზრუნველყოფა

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე ვაუჩერის გაცემის მიზნით, სკოლების დაფინანსების ოდენობის განსაზღვრა და დადგენილი ვადების/ფორმის შესაბამისად აღნიშნულის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმირება;
- სერტიფიცირებულ მასწავლებელთა დანამატის განსაზღვრა და დადგენილი ვადების/ფორმის შესაბამისად ინფორმაციის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენის ორგანიზება;
ასევე, საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ამოქმედების შემდგომ, სქემით განსაზღვრული სტატუსის დანამატის ოდენობის გამოთვლა და დადგენილი ვადების/ფორმის შესაბამისად მონაცემების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენის ორგანიზება;

- ზოგადი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა დაზღვევის პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციართა სიის მომზადება და დადგენილი ვადების/ფორმის შესაბამისად ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენის ორგანიზება;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა კონტინგენტის პროგნოზული მაჩვენებლების მომზადება;
- ზოგადი და პროფესიული განათლების საგანმანათლებლო ინდიკატორების გამოთვლა;
- ზოგადი განათლების სტატისტიკური მონაცემების მომზადება საერთაშორისო/ეროვნული კვლევებისა და ოლიმპიადებისათვის;
- საბაზო და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა სიების მომზადება;
- პროფესიული განათლების სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და დაინტერესებული პირებისათვის მიწოდების ორგანიზება;
- შესაბამისი საკანონმდებლო დოკუმენტებით/მოთხოვნებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, მთავრობის, სამინისტროების, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სხვა სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის სტატისტიკური ანგარიშების მომზადებისა და შესაბამის ადრესატთან ელექტრონული ან ნაბეჭდი სახით წარდგენის ორგანიზება;

პროფესიული განათლება

პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება

მართვის სისტემა წარმატებით ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებასა და IT ტექნოლოგიებზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- ვებ ტექნოლოგიები (III, IV საფეხური);
- კომპიუტერული გრაფიკისა და ანიმაცია (III საფეხური);
- კომპიუტერული ქსელები და სისტემები (III, IV საფეხური);

2015 წელს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები წარმატებით დაასრულა 155 პროფესიულმა სტუდენტმა, ხოლო აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში დასაქმების საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 65%.

ასევე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საზოგადოებრივმა კოლექტმა, მიმდინარე წელს გაიარა ავტორიზაცია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ, ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი;
- ვებ ინტერფეისის დეველოპერი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა.

eVET – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემა

მართვის სისტემამ უზრუნველყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eVET) განვითარება, რომლის მეშვეობითც ონლაინ რეჟიმში ხორციელდება:

- ელექტრონული რეგისტრაცია საქართველოს პროფესიული კოლეჯების შესაბამის პროგრამებზე;
- სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭების აღრიცხვა;
- მობილობის პროცესის მართვა, როგორც საფეხურებრივად, აგრეთვე კოლეჯებს შორის;
- პედაგოგების/ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის რეესტრის წარმოება;
- კოლეჯების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვა.

სისტემას დაემატა „დაფინანსების“ მოდული, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, კვარტალში გადასარიცხი თანხის ოდენობის ორგანიზებას სწავლის პერიოდის, სწავლის ხანგრძლივობის, საფასურისა და პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით.

მართვის სისტემამ უზრუნველყო მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სასწავლო სახარჯი მასალების აღრიცხვის უზრუნველ-საყოფად, სპეციალური ელექტრონული ფორმების შემუშავება და მათი ინტეგრაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eVet).

განხორციელდა ასევე, მოდულური პროგრამების იმპორტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ინფორმაციის გაცვლის უზრუნველსაყოფად განახლდა შესაბამისი ელექტრონული სერვისები.

eJournal – სტუდენტთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო სტუდენტთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვის ელექტრონული სისტემის (eJournal) შემუშავება, რომლის დანერგვის მიზანია განათლების სისტემაში, კერძოდ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფა. აღნიშნული გულისხმობს ბუსტი მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, ონლაინ რეჟიმში განახლებასა და ანგარიშგებას.

პროექტის ფარგლებში, მიმდინარე ეტაპზე საქართველოს მასშტაბით, სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაინერგა ახალი სისტემის შემადგენელი ისეთი მოდულები, რომელიც ხელს უწყობს განათლების მართვის ორგანოების სხვადასხვა მენეჯერული ამოცანების გადაწყვეტასა და მართვის ისეთი დამატებითი ამოცანების გადაჭრას, როგორებიცაა:

- სტუდენტთა კონტინგენტის ორგანიზაცია (ჯგუფების სტრუქტურა და შემადგენლობა);
- სასწავლო პროცესის ორგანიზაცია (სალექციო ბადე);
- მასწავლებელთა საგნობრივი და საათობრივი დატვირთვა;
- სწავლის შედეგები;

სტუდენტთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვის ელექტრონული სისტემის შემუშავებისა და დანერგვის მიზნით Emis-ის მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

1. მართვის სისტემის ბაზაზე მოქმედი ელ.ჟურნალის მოდიფიცირება;
2. სტუდენტთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვის მოდიფიცირებული სისტემის ტესტირება;
3. სისტემის დოკუმენტაციის მომზადება (ფუნქციონალის აღწერა, მომხმარებლის სახელმძღვანელო);
4. ტრენინგების ორგანიზება სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთათვის;
5. სისტემის გაშვება;
6. პროგრამული ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად სისტემის მუშაობის ტექნიკური მონიტორინგის განხორციელება;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კორტალი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კორტალის (www.vet.ge) ტექნიკური დახვეწის მიზნით განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ განხორციელებული სამუშაოები:

- კორტალს დაემატა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა პროფესიული პროგრამების ავტომატური განახლების მოდული;
- დასრულდა ფორუმის შემუშავება;
- შემუშავდა ღონისძიებების კალენდარი;
- კორტალზე განთავსდა პროფესიული ოსტატობის მსოფლიო ჩემპიონატის (Worldskills) საინფორმაციო გვერდი;

Emis-ის მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა ელექტრონული რეგისტრაცია;
- პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ტესტირება;
- ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის ვებგვერდის შექმნა (<http://horizon2020.ge/>), რომელზეც ქართულ ენაზე განთავსდება ჰორიზონტი 2020-თან დაკავშირებული ინფორმაცია. ვებგვერდის ტექნიკურ მხარდაჭერას ასევე განახორციელებს მართვის სისტემა;
- კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) ელექტრონული კითხვარის განახლება;
- შესაბამისი სამუშაოების ორგანიზება, ახალი სახელმწიფო და აკრედიტირებული კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების Emis-ის მონაცემთა ცენტრთან დაკავშირების უზრუნველსაყოფად;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მოდულური პროგრამების განხორციელებისა და მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განფასების უზრუნველსაყოფად საჭირო პროცესების პროგრამული და ტექნიკური მხარდაჭერა;